სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 აგვისტო, 2026 წ.

ბრძანება №01-02/155

ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „იმ საგანმანათლებლო **პროგრამების (კურიკულუმების)** ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვთ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს“ **საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მაისის №212 დადგენილების,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის **№**227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №06-01/24 დადგენილებით დამტკიცებული **„ბსუ-ში უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის დონის დადასტურების წესის“**, „2026–2027 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების **ანკეტა-კითხვარის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 13 მარტის №06-01/30 დადგენილების, „ბსუ-ს **2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის** დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/125 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს **სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამებზე, წინამდებარე ბრძანების №**1 დანართის** შესაბამისად.
2. მაგისტრანტობის კანდიდატთა **რეგისტრაცია** განხორციელდეს 2026 წლის **31 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით**, ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა), 10:00 საათიდან 17:00 საათამდე (ბსუ-ს I კორპუსი, I სართული, ოთახი №20, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35).
3. მაგისტრანტობის კანდიდატმა **რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება **(შევსებული №2 დანართის** შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

გ) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე;

დ) ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (თანდართული დანართით) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული, ხოლო 2026 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე), უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);
ვ) **უცხო ენის** (ბსუ-ს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობად განსაზღვრული) **ცოდნის** დამადასტურებელი **საერთაშორისო სერტიფიკატის** ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში; **შენიშვნა:** მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ ამ სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში უცხო ენის ცოდნის დადასტურება განხორციელდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №06-01/24 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ცოდნის დონის დადასტურების წესის“ შესაბამისად);
ზ) სხვა დოკუმენტი, თუკი ითვალისწინებს შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა.

4. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

4.1. **მისაღები გამოცდა უცხო ენაში** (კონკურსანტს მოეთხოვება ბსუ-ს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო **პროგრამის დაშვების წინაპირობად განსაზღვრული** უცხო ენის არანაკლებ **B2 დონეზე** ცოდნა) - 2026 წლის **14 სექტემბერი** (დაწყების დრო: **I ცვლა** - 10^{00} საათი, **II ცვლა** - 14^{00} საათი; ჩატარების ადგილი - ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი - ბსუ-ს №4 კორპუსი, მე-3 სართული, მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12);

4.1.1. უცხო ენის გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2026 წლის **14 სექტემბერი;**

4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2026 წლის **15 სექტემბერი** 10:00 სთ-დან - 16:00 სთ-მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით (ბსუ-ს I კორპუსი, I სართული, **ოთახი №1,** ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35);

4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2026 წლის 15 სექტემბერი (ეცნობება მაგისტრანტობის კანდიდატს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

4.**2. მისაღები გამოცდა სპეციალობაში** (წერითი) **-** 2026 წლის **16 სექტემბერი** (გამოცდის დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი; ჩატარების ადგილი - ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი - ბსუ-ს №4 კორპუსი, მე-3 სართული, მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12);

4.2.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2026 წლის **17 სექტემბერი;**

4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2026 წლის **18 სექტემბერი,** 10:00 სთ-დან - 16:00 სთ-მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით (ბსუ-ს I კორპუსი, ოთახი №1, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35).

4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2026 წლის **18 სექტემბერი** (შენიშვნა: პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი ქმნის საპრეტენზიო განცხადებების განმხილველ კომისიას, რომელშიც არ მონაწილეობს პირები, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში); პრეტენზიების განხილვის შედეგები ეცნობება მაგისტრანტობის კანდიდატს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

5. მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია გამოცდაზე იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს გამომცდელს (დაგვიანებული პირი გამოცდაზე არ დაიშვება).

6. გამოცდების **საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2026 წლის 21 სექტემბერს,** ბსუ-ს ვებგვერდზე და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

7. შეიქმნას მაგისტრატურაში **დოკუმენტაციის მიმღები კომისია,** წინამდებარე ბრძანების **№3 დანართის** შესაბამისად (კომისიის მიერ დამუშავდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია).

8. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებთან **ხელშეკრულებები გაფორმდეს 2026 წლის 22 და 23 სექტემბერს,** 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა **№**32/35 (კორპუსის და ოთახის ნომრის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე გამოცდის საბოლოო შედეგებთან ერთად; **შენიშვნა:** მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც ბსუ-ში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე ბსუ-ში წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს).

9. ბსუ-ს **სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება** გამოიცეს **2026 წლის 24 სექტემბერს,** სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

10. დაევალოს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს მაგისტრატურაში **მისაღები გამოცდების** (სპეციალობაში) **თემატიკა** განათავსონ უნივერსიტეტის **ვებგვერდზე,** არაუგვიანეს 2026 წლის **24 აგვისტოს.**

11. დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) განათავსოს ბრძანება ამავე სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

12. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის წარმოდგენა.

13. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს წინამდებარე ბრძანება და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განაცხადი განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.

14. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს).

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. № 30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 აგვისტოს № 01-02/155 ბრძანების

№1 დანართი

2026-2027 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები ადგილები

№	ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ბსუ-ს ფაკულტეტი	სტუდენტთა მისაღები რაოდენობა	მისაღები გამოცდები (1. უცხო ენა (B2) და 2. სპეციალობა)	პროგრამების აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	შენიშვნა
1.	**ბიზნესის ადმინისტრირება**	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	60	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	04.02.2032	
2.	**ფინანსები და საბანკო საქმე**	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	15	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	04.02.2032	
3.	**მარკეტინგი**	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	04.02.2032	
4.	**აღრიცხვა, აუდიტი, დაბეგვრა**	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	04.02.2032	
5.	**ეკონომიკა**	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	15	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	31.12.2028	
6.	**განათლების ადმინისტრირება**	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	15	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	05.08.2032	
7.	**კომპიუტერული მეცნიერება**	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	15	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	31.12.2032	
8.	**მათემატიკა**	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	01.07.2027	
9.	**პროფესიული და უწყვეტი განათლება**	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	15	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	05.08.2032	

10.	**ფიზიკა**	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	01.07.2027	
11.	**კლინიკური ფსიქოლოგია**	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	31.12.2028	**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან ბაკალავრიატის საფეხურზე გავლილი ფსიქოლოგიის minor პროგრამა (60 კრედიტი) ან ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თავისუფალი კრედიტების სახით ათვისებული ფსიქოლოგიის დარგის კრედიტები (მინიმუმ 50 კრედიტი)
12.	**სამართალი**	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	18	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	31.12.2026	
13.	**ბიოლოგია**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	31.12.2027	
14.	**ეკოლოგია**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული	01.07.2032	

				ან ფრანგული) **2.სპეციალობა**		
15.	**ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	01.07.2027	
16.	**ქიმია**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	01.07.2027	
17.	**ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები**	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	31.12.2032	
18.	**სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა**	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	10	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	01.04.2027	
19.	**აგრარული ტექნოლოგიები**	ტექნოლოგიური ფაკულტეტი	10	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	29.12.2032	
20.	**ტურიზმის მენეჯმენტი**	ტურიზმის ფაკულტეტი	30	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	30.05.2030	
21.	**ევროპული ფილოლოგია (მოდულები:** ინგლისური ფილოლოგია/გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	13.02.2030	
22.	**თარგმანმცოდნეობა და კულტურათაშორისი კომუნიკაცია**	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	13.02.2030	

23.	**თურქოლოგია**	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (თურქული) **2.სპეციალობა**	13.02.2030	
24.	**ისტორია**	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	17.03.2030	
25.	**ლინგვისტიკა**	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	31.03.2030	
26.	**ფილოსოფია**	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	31.12.2029	
27.	**ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები**	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური **ან** გერმანული **ან** ფრანგული) **2.სპეციალობა**	31.03.2030	
28.	**შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ანტიკური არქეოლოგია**	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2. სპეციალობა**	17.03.2030	
29.	**ციფრული მედია და ინოვაციები**	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	5	**1. უცხო ენა** (ინგლისური) **2.სპეციალობა**	01.07.2028	

„ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 აგვისტოს № 01-02/155 ბრძანების

№2 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს

_____

(მაგისტრანტობის კანდიდატის სახელი, გვარი)

პირადი ნომერი: _____

ფაქტობრივი მისამართი: _____

რეგისტრაციის მისამართი: _____

ტელ. (მობილური): _____

ელფოსტა: _____

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებში ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით:

ბსუ-ს ფაკულტეტის დასახელება: _____

ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამის დასახელება : _____

უცხო ენა: ☐ ინგლისური ☐ გერმანული ☐ ფრანგული ☐ თურქული

(მონიშნეთ ერთი)

რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი **დოკუმენტაცია თან ერთვის:** _____ ფურცელი.

ხელმოწერა _____

____ _____ 2026 წელი.

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 აგვისტოს № 01-02/155 ბრძანების

№3 დანართი

2026-2027 სასწავლო წლისათვის

ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
მაგისტრანტობის კანდიდატთა დოკუმენტაციის
მიმღები კომისია

1. ამირან შარაძე - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მარიამ ბოლქვაძე - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
3. თინათინ ჭიჭვეიშვილი - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
4. ხათუნა გამყრელიძე - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;